სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/128

ქ. თბილისი

22 ივლისი 2025წ

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით შექმნილი ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დარგობრივი კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის განხილვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 06 ივნისის №01-06-02/21 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიების და მათი სამდივნოების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №01-05-04/120 დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით შექმნილი ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დარგობრივი კომისიის 2025 წლის 21 ივლისის რეკომენდაციის, კონკურსანტების თანხმობებისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დარგობრივი კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე, ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საგანთა №1 ჯგუფში გამოცხადებული პროფესორის 3 საშტატო ერთეულიდან (260 სთ) 1 (ერთი) საშტატო

ერთეული გაიყოს 2 (ორ) არასრულ საშტატო ერთეულად (130 სთ), დაემატოს არსებულ 2 (ორ) არასრულ საშტატო ერთეულს და აღნიშნულ საგანთა ჯგუფში პროფესორის საკონკურსო ადგილებად ჩაითვალოს 2 (260 სთ) და 4 (130 სთ) საშტატო ერთეულები.

2. დადგენილება გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**